სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

27 იანვარი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 04

2024 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის N153/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, „2024 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის N166 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 24 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (N57410) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 27 იანვრის №04 ბრძანებით

2024 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტების სია

№	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსის პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა
1	GSDP-24-1352	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი - მკვლევრები თ.თ და გ.შ ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულები არიან ამავე კონკურსში წარმოდგენილ ერთზე მეტ პროექტში, კერძოდ GSDP-24-1352 და GSDP-24-1039 პროექტებში. ასევე მ.ბ ჩართულია ამავე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში, კერძოდ: GSDP-24-1352 და GSDP-24-576 პროექტებში.
2	GSDP-24-1039	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ქვეპუნქტი - პროექტის ხელმძღვანელი გ.შ და მკვლევარი თ.თ ჩართულები არიან ამავე კონკურსში წარმოდგენილ ერთზე მეტ პროექტში, კერძოდ GSDP-24-1039 და GSDP-24-1352 პროექტებში.
3	GSDP-24-576	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ქვეპუნქტი -მკვლევარი მ.ბ ჩართულია ამავე კონკურსში წარმოდგენილ ერთზე მეტ პროექტში, კერძოდ GSDP-24-576 და GSDP-24-1352 პროექტებში.